

## ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობა,

შპს „ჰიდროენერჯი“,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“

თარიღი: 15 აგვისტო, 2015 წ.

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

შპს „ჰიდროენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 405074324, წარმოდგენილი დირექტორის ლაშა ბუაძის (პ/ნ 62001001435) მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

### განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს მემორანდუმის გაფორმებიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული სამშენებლო ფაზის ვადისა.
  - 1.2. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
  - 1.3. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეებს.
  - 1.4. „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით.
  - 1.5. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკო“-ს შორის.
  - 1.6. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯს.
  - 1.7. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
  - 1.8. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას და „ესკო“-ს ერთობლივად.
  - 1.9. „ძირითადი მხარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას.
  - 1.10. „პროექტი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
  - 1.11. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.
  - 1.12. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრულ ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს, წლიურ გამომუშავებას და პროექტის სავარაუდო ინვესტიციას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართ N1-ში.

### მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, საკუთარი სახსრებით, მშენებლობა, ფლობა, ოპერირების პრინციპის საფუძველზე პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.



### სამშენებლო ფაზა

3. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
  - 3.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებები;
  - 3.2. დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში;
  - 3.3. ააშენოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების მიხედვით და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში;
  - 3.4. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
  - 3.5. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და სხვა სტანდარტების შესაბამისად;
  - 3.6. კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა პროექტის განხორციელების არეალზე;
  - 3.7. მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხის და მშენებლობის უსაფრთხოების მონიტორინგი.
4. სამშენებლო გარანტია
  - 4.1. სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, მემორანდუმის ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ.
  - 4.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
  - 4.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით

ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში საშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.

- 4.4. თუ იმ დროისათვის, როდესაც ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი საშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს, პროექტის განხორციელების პროგრესი დანართი N1-ით განსაზღვრული სავარაუდო ინვესტიციის სულ ცოტა 60 (სამოცი) %-ს შეადგენს, ძირითადი მხარეები უნდა შეთანხმდნენ ვადის გაგრძელებაზე, რის შედეგადაც შესაბამისად გაგრძელდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადა.
- 4.5. მთავრობა უფლებამოსილია საშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:
  - ა) კომპანია მემორანდუმის 4.2 და 4.3 მუხლების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.
  - ბ) მთავრობა მე-10 მუხლის შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - საშენებლო გარანტიის სრული მოცულობით.

#### ზოგადი დებულებები

5. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“), ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების რეალიზაცია სრულად უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე, მასთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად მიერთების წერტილში ტარიფით 5.4 (ხუთი მთელი ოთხი მეათედი) აშშ ცენტი 1 კვტ/სთ, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.
6. „ესკო“-ს გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის და მისი ფუნქციების, კანონმდებლობის ან სხვა საფუძვლით, სხვა პირისათვის გადაცემის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს, ამ მემორანდუმისა და „ესკო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში არსებული უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის (პირებისათვის) გადაცემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სრულად ან ნაწილობრივ განახორციელებს „ესკო“-ს ფუნქციებს საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში.
7. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცხადებული წლიური გენერაციის ოდენობა გათვალისწინებული იქნება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში და მოხდება მისი სრული გენერაცია, გარდა დისპერეზიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

#### მხარეთა ვალდებულებები

8. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
  - 8.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
  - 8.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;

- 8.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.
9. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
- 9.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- 9.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნორმატიულ ფასად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

### მემორანდუმის შეწყვეტა

10. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 10.1. 4.2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
- 10.2. 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს და პროექტის განხორციელების პროგრესი დანართი N1-ით განსაზღვრული სავარაუდო ინვესტიციის 60 (სამოცი) %-ზე ნაკლებია;
- 10.3. კომპანია დაარღვევს მხარეთა მიერ 4.4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ გაგრძელებულ ვადას;
- 10.4. ფორს-მაჟორი გრძელდება 120 დღეზე მეტი ვადით.
11. მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის მე-10 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
- 11.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
- 11.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
12. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 12.1. მთავრობა ვერ ასრულებს მემორანდუმის მე-9 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 90 დღით ადრე;
- 12.2. მემორანდუმის გაფორმებიდან 120 (ასოცი) დღის ვადაში შესაბამის მხარეებს შორის არ გაფორმდება ელექტრონული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება.
13. კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის მე-12 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:



- 13.1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
- 13.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
- 13.3. კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი, გარდა მემორანდუმის 12.2 პუნქტის საფუძველზე მემორანდუმის შეწყვეტისა.
14. მთავრობის ან კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის შეწყვეტას და შესაბამისად ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტას.

#### მემორანდუმის ცვლილება

15. ცვლილებები
  - 15.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
  - 15.2. თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

#### მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

16. წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17. ნებისმიერი დავა, რომელიც მშვიდობიანი გზით ვერ მოგვარდება მხარეებს შორის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება საქართველოს საერთო სასამართლოებს.

#### ფორს-მაჟორი

18. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეზი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.
19. თუ რომელიმე მხარე მოექცევა წინა მუხლში აღნიშნულ ფორს-მაჟორულ გარემოებებში, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს ამის შესახებ წერილობითი შეტყობინება. ამავე მხარემ უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ფორს-მაჟორის მიზეზებსა და შედეგებს.
20. თუ ფორს-მაჟორი ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების ან მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ ამ მოვლენის ზემოქმედების პროპორციულად და მეორე მხარეს არ იქნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ ამავე მემორანდუმით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### დამატებითი დებულებები

21. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის კომპანიის მიერ მემორანდუმის 4.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დღეს და ძალაშია მხარეთა მიერ ურთიერთვალდებულებების ამოწურვამდე.
22. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

### ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „ჰიდროენერჯი“

დაშა ბუაძე

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

გახტანგ ამბოკაძე

დანართი N1


#	დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები	წლიური გამომუშავება	სიმძლავრე	სავარაუდო ინვესტიცია
1	შილდაპქესი 1	ყვარლის მუნიციპალიტეტი, მდინარე ჩელთი	755 მ.ზ.დ.	667 მ.ზ.დ.	1,9 მგვტ.	2 500 000 აშშ დოლარი



დანართი N2

სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 6 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან	ექსპლუატაციაში მიღება
26 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		





## საქართველოს მთავრობის განკარგულება


№1395 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდროენერჯისა“ და  
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“  
შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდროენერჯისა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010164730096715

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, ვარკეთილის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-Mail: info@justice.gov.ge

№4712

15 / ივნისი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,


საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 5 ივნისის №04/2108 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდროენერჯისა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი და გაგნობებთ, რომ საკითხი, ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის 12.2 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიისთვის საქართველოს მთავრობის მიერ აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯის ანაზღაურების თაობაზე საჭიროებს გადაწყვეტას მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ამასთან, ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტს აქვს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ, მე-10 მუხლის სათაურში ტერმინი „მემორანდუმის გაუქმება“ უნდა ჩანაცვლდეს ტერმინით - „მემორანდუმის შეწყვეტა“.

პატივისცემით,

გ. ლხავიჯანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Saratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/620  
12/06/2015

620-01-2-201506121319



თანხმობა ხელმოსაწერი  
ურთიერთგაგების მემორანდუმის  
პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 05 ივნისის #04/2107 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ჰიდროენერჯი“-ს შორის დასადგები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (შილდაპეხი 1), რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორი ეთანხმება წარმოდგენილ მემორანდუმის პროექტს.

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მემორანდუმის მე-5 მუხლის მე-2 წინადადების შინაარსის ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე, საწყისი ექსპულატაციის პერიოდის განმავლობაში, ბაზრის ოპერატორის მიერ ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულება წარმოიშვება მხოლოდ შესაბამისი წლის

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგარეო საზღვარის ინსპექციის მიერ 07.08.2004; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2004; ID CODE 205170036

ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში „შილდაჭესი 1“-ის მიერ  
გამოსამუშავებელი ელექტროენერჯის ასახვის შემდეგ.

პატივისცემით,

ვახტანგი ამბოკაძე



გენერალური დირექტორი